დანართი N2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

პროგრამა 1: პროფესიული განათლება / ტრენინგი და ადამიანური რესურსების განვითარება, სამაგისტრო პროგრამა
პროგრამა 2: პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2022 წლის 3-4 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

15 დეკემბერი 2022 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 12

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 12

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 12

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სტეფან ლოვიკი უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორთა ასამბლეა (ADIUT), საფრანგეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო ბაზაძე შპს ევროპული სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება სამაგისტრო პროგრამა	პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე 7	დონე 8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამაგისტრო პროგრამა განათლების მეცნიერებებში	სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში
კოდი და დეტალური სფეროს დასახელება	განათლების მეცნიერება 0111	განათლების მეცნიერება 0111
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნების ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]		
სწავლების ენა	ინგლისური	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120	35
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს ორ პროგრამას, რომელთა მიზანია უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადება განათლების მეცნიერებებში მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე, კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტი არის პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე (VET). ეს ორი პროგრამა ერთობლივად შეფასდა ერთ კლასტერში, რადგან ორივე შემუშავებული იყო საქართველოსა და სუბრეგიონში პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების პროგრამების შემუშავებისა და ოპერირების შესაძლებლობა და წვლილი შეიტანონ იმ ინსტიტუტების მართვაში, რომლებიც რელევანტურია ასეთი პროგრამებისთვის.

ორივე პროგრამა ავლენს ინტერნაციონალიზაციის ძალიან მაღალ დონეს, რადგან ისინი ერთობლივად შეიმუშავეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სპეციალისტებმა და ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (OvGU) განათლების მეცნიერებმა, მაგდებურგი, გერმანია, ევროპული დაფინანსებით Erasmus+ პროექტის VoCasian-ის მეშვეობით.

ექსპერტებისთვის მიწოდებული ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია იყო უხვი, შესაბამისი და განახლებული. დროის სიმცირის მიუხედავად, ის დროულად იყო უზრუნველყოფილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ძირითადი დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, რამაც ექპერტებს ზოგადად კარგი წარმოდგენა შეუქმნა ორივე პროგრამის შესახებ.

ექსპერტებს საშუალება მიეცათ გასაუბრებოდნენ კლასტერის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კურსის შემქმნელებს, შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს და სტუდენტებს. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომი იყო ექსპერტებისათვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 3 და 4 ნოემბერს ჰიბრიდულ ფორმატში, პროგრამების საერთაშორისო მახასიათებლის გამო. ქართველმა ექსპერტებმა შეძლეს უნივერსიტეტში დასწრება. გერმანელ პარტნიორებს, ისევე როგორც ზოგიერთ გამოკითხულს, შეხვდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ მოწოდებული Zoom ბმულის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფის

[2] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიწოდებისას მიზანშეწონილია წარმოადგინოთ საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზიც.

თავმჯდომარე ჩართული იყო აღნიშნული Zoom ლინკის საშუალებით.

1-ელ ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან. ამ შეხვედრაზე განიხილეს და საკმარისად დაზუსტდა შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები. ჯგუფის მუშაობამ კარგად ჩაიარა. ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც ფიზიკურად იმყოფებოდა უნივერსიტეტში უზრუნველყოფდა აღნიშნულ ფორმატში ჯგუფის წარმატებით მუშაობას. უზრუნველყოფილი იყო ეფექტური თარგმნა.

ექსპერტთა ჯგუფი და, კონკრეტულად, თავმჯდომარე გულწრფელ მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობდა შეფასების მომზადებაში და უშუალოდ იმყოფებოდა ვიზიტზე. ასევე მადლობას უხდის ცენტრის წარმომადგენლებს შეხვედრების შეუფერხებელი და უნაკლო ორგანიზებისთვის. მოხსენება დაწერა მთელმა გუნდმა და ჩატარდა რამდენიმე ონლაინ შეხვედრა იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო ზოგადი კონსენსუსი კომენტარებსა და შეფასებებზე. ჯგუფის თავმჯდომარე მადლობას უხდის მთელ გუნდს აქტიური და ეფექტური მონაწილეობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2 **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3 **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4 **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5 **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

კლასტერში ორივე პროგრამა ადასტურებს მოთხოვნებთან შესაბამისობის ძალიან მაღალ ხარისხს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები. მათი რეკომენდაციაა პროგრამის შემქმნელებმა და განმახორციელებლებმა:

- უკეთესად წარმოადგინონ შეფასების კრიტერიუმები ზოგიერთ სილაბუსში;
- კიდევ ერთხელ გადახედონ (ზოგიერთ სილაბისში) დასწრებისათვის ქულის მინიჭებას სტუდენტებისთვის მინიჭებულ შეფასებებში;
- უკეთესად მოარგონ კურსის მიზნები კურსის შინაარსს საგანში - ადამიანური რესურსების მართვა;

- ნათლად მიუთითონ, როგორ ფასდება კვლევითი განაცხადები მიღების ეტაპზე;
- გააუმჯობესონ აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხარისხი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში, რადგან ზოგიერთ ინტერვიუში კურსების ხელმძღვანელებს გაუჭირდათ კურსის სწავლის შედეგების დაკავშირება პროგრამის სწავლის საერთო შედეგებთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

აშკარად ჩანს, რომ ორივე პროგრამა არის საგულდაგულოდ ნაფიქრი, გააზრებული, შემუშავებული და აგებული. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ნათელი, შესაბამისი და ჯანსაღი ხარისხის განვითარების გარემოს შექმნას. ჯგუფის რჩევაა, რომ ორივე პროგრამამ გააგრძელოს მუშაობა იმ პოზიტიურ საფუძვლებზე, რამაც გამოიწვია მათი განვითარება: მძლავრი კავშირი კვლევასთან, კვლევისა და სწავლებისა და სწავლის ინტერნაციონალიზაცია. ჩანს, რომ დაფინანსება გარანტირებულია მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.

სტუდენტების რაოდენობის ნებისმიერი ზრდა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში და საერთაშორისო დონეზე არსებულ კადრებს, განსაკუთრებით ეს ეხება დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობას.

სასურველია გამოიყენონ სტუდენტების მუშაობის შედეგები კვლევით პუბლიკაციებში. ანალოგიურად, კურსდამთავრებულთა საქმიანობაზე თვალყურის დევნება საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეს აკონტროლონ გავლენა, რომელსაც ისინი ახდენენ ეკოსისტემაზე. განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება მიექცეს მათ გავლენას სუბრეგიონზე (ანუ საქართველოს ფარგლებს გარეთ), კლასტერის, როგორც რეგიონული ლიდერის პოტენციური როლის შესაფასებლად. ეს შეიძლება გაძლიერდეს კურსდამთავრებულების კვლევაში ჩართვით, ასევე მომავალი სტუდენტების სწავლებით ან მენტორობით.

ექსპერტთა ჯგუფის ერთი რჩევა ეხება უშუალოდ უნივერსიტეტს და არა კლასტერს ან მის პროგრამებს:

- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების გამოვლენას და მხარდაჭერას მათ სადოქტორო საქმიანობაში.

ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რჩევები ეხება სამაგისტრო პროგრამას:

- სტუდენტებისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს ინკლუზიურობისა და სსსმ მოსწავლეების მოდულის გადატანა სავალდებულო კურსად;
- ჯგუფი ურჩევს კურსის შემქმნელებს, კიდევ უფრო გაამახვილონ ყურადღება პროგრამის მიზნებში სამეცნიერო კეთილსინდისიერების ხელშეწყობაზე;
- უკეთესი იქნება, რომ ვებგვერდზე გამოქვეყნდეს მისაღები გასაუბრების შესაძლო თემები ან კითხვები და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები;
- მიზანშეწონილია, რომ შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს უნარების უფრო მრავალფეროვნებას სხვადასხვა ტიპის შეფასების მეთოდების ჩათვლით, როგორიცაა ზეპირი შეფასება, რათა სხვადასხვა შესაძლებლობებისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ თანაბრად წარმოაჩინოთ თავი:

და ბოლოს, რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას:

- ჯგუფი თვლის, რომ უკეთესი იქნება მკაფიო ინფორმაციის მიღება ხელმძღვანელთა რაოდენობისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესახებ;

- სასურველია კურსის "ასისტენტობა" წინაპირობად განისაზღვროს "პროფესიული განათლებისა და გადამზადების სწავლებისა და სწავლის მეთოდები" და გადავიდეს იგი არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კომპონენტში:

- უკეთესი იქნება, უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს კვლევითი განაცხადების შეფასებისა და დოქტორანტებთან გასაუბრების კრიტერიუმები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებით დადებითად აფასებს პროგრამის შემქმნელებსა და უნივერსიტეტს შემდეგი მიმართულებით:

- კლასტერი ქმნის ეკოსისტემას, რომელიც რელევანტურია ერისა და რეგიონისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მიდგომის გამოყენებით, რომელიც აერთიანებს შიდა შეფასების მექანიზმებს, რომლებიც თვით–აკრედიტაციის პროცესს ჰგავს. ეს მოიცავს ინდიკატორების დასაბუთებულ შესწავლას, საერთაშორისო ექსპერტების მიერ კოლეგიალურ შეფასებას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას;

- ორივე პროგრამის სასწავლო გეგმები და სილაბუსები საერთაშორისო ექსპერტებს გრძელვადიანი სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგია;

- კლასტერის შექმნაში ჩართული წინასწარი სამეცნიერო, მაღალი ხარისხის კვლევების მოცულობა განსაკუთრებით მაღალია, ამიტომ ორივე პროგრამა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უახლესი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის ნაყოფი;

- სადოქტორო პროგრამა ხორციელდება ერთობლივი სწავლების სისტემით, რომელშიც ჩართული არიან საერთაშორისო სპეციალისტები და ქართველი მეცნიერები, რაც სასარგებლოა სტუდენტების, უნივერსიტეტისა და რეგიონისათვის.

- **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ**

გაეცნო რა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის პროექტის შინაარსს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომ იგი სრულად იზიარებს ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ რეკომენდაციებს. დამატებითი შენიშვნები ან დაკვირვებები არ გაკეთებულა.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის.

2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი:	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1,1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** <u>**საჭიროების შემთხვევაში**</u> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან სასწავლო სფეროების შესაბამისად და ვითარდება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სასწავლო სფეროს, დონის და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელიც უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამებადა ანალიზი

ორივე პროგრამა შემუშავებულია ერთად, ერთმანეთთან ლოგიკური ბმით. ისინი წარმოადგენენ უნივერსიტეტის სტრატეგიული ამბიციის ნაწილს, რომელიც პასუხობს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს და მოთხოვნებს, რომ მოამზადონ მაღალი განათლების მქონე პროფესიონალები ხარისხიანი პროფესიული განათლების განვითარებისთვის ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. ორივე პროგრამა შემუშავებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგიით: კერძოდ, პირველად განხორციელდა საქართველოში მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების ექსპერტებზე მოთხოვნის ანალიზი; უნივერსიტეტმა გააერთიანა ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურსები; Erasmus+ პროექტში მონაწილეობით შეძლო თანამშრომლობის დამყარება ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, რომელთან ერთადაც შეიმუშავა სწავლის შედეგები ორი პროგრამისთვის.

ორივე პროგრამა შესრულდა ორივე უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო მეცნიერებებში ჩატარებული კვლევის შედეგების გამოყენებით. ორივე უნივერსიტეტის კურსის შემდგენლები საფუძვლიანად იცნობენ უახლესი კვლევების შედეგებს განათლების მეცნიერებათა სფეროში. გარე შემფასებლები კმაყოფილნი არიან, რომ უნივერსიტეტმა თავისი მისიის შესაბამისად სტრატეგიულად შეიტანა წვლილი კვლევაზე დაფუძნებული ეკოსისტემის შექმნაში, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნისთვის საჭირო

პროფესიული განათლების ხელშეწყობას.

აქედან გამომდინარე, ეს ორი პროგრამა დაკავშირებულია და ხელს უწყობს უნივერსიტეტს შეიმუშაოს მისთვის სასარგებლო სტრატეგია დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. საერთო ჯამში, პროგრამების ჯგუფი წარმოადგენს ლოგიკურად შეფასებულ კლასტერს.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტი შექებას იმსახურებს სამაგისტრო პროგრამისთვის ვრცელი დოკუმენტაციის მოწოდებისთვის ინგლისურ და ქართულ ენაზე. წარმოდგენილი საბუთები საკმარისია პროგრამის ზოგადი ორგანიზაციის, მისი სწავლის შედეგების და, ზოგადად, მისი მიზნების შესაფასებლად.

სილაბუსები ასახავს ფართო და ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და კურსის შემუშავების ყველა ასპექტს. მთლიანობაში, კანდიდატებს ეძლევათ საჭირო რესურსები, რათა ზოგადად გააუმჯობესონ საგნის გააზრება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია გამართული და ნათელია.

კურსის შემდგენლებმა წინა პლანზე წამოსწიეს საგანმანათლებლო მეცნიერება. სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილი სტუდენტებს აძლევს მყარ თეორიულ ცოდნას. საგნების დიაპაზონი მერყეობს პედაგოგიკის, სწავლისა და სწავლების თეორიიდან, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის გაფართოებული რეფლექსიით, ელექტრონული სწავლებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ხაზგასმულია პროფესიული განათლების შესახებ ძირითადი კონცეფციები და შეხედულებები, სტუდენტებს ასევე აცნობენ პროფესიული განათლებით დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტს. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს კურსებს კომუნიკაციის, პიროვნული განვითარების შესახებ, ასევე ისეთი პრაქტიკული ცოდნის გაცნობას, როგორიცაა ბიუჯეტირება და ფონდების მოძიება, და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების მომზადებას სწრაფი, ადაპტირებადი და შემოქმედებითად მუშაობისთვის.

კლასტერის საერთაშორისო ორიენტაციის და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტი საჭირო მეთოდოლოგიით, რათა განახორციელონ საკუთარი კვლევაზე დაფუძვნებული სწავლა. განსაკუთრებით ხაზგასმულია კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებელი სწავლა და შემოქმედებითი უნარების მართვა.

პროგრამა შემდგენელთა ხედვით, ეს პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს პროფესიული განათლების სფეროს მომარაგებას ახალი ნიჭითა და კომპეტენციებით აღჭურვილი ადამიანებით. მაგალითად, ის ხელს შეუწყობს შეიქმნას პლატფორმა, სადაც

მოხდება ადამიანური რესურსების და ამ სფეროში მომუშავე დამსაქმებლების დაკავშირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- მსოფლიო ბანკი: დამსაქმებელთა თვალით დანახული სამუშაო ძალის უნარები
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით)
- დანართი 11 – კითხვარი დამსაქმებელთათვის
- ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები
- თანამშრომლობის შეთანხმება OvGU-სა და თსუ-ს შორის
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტები (ქართულ ენაზე მაგისტრატურისთვის)

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს მაგისტრატურის ლოგიკურ გაგრძელებად, თუმცა ის აშკარად შემუშავებულია ისე, რომ ჰქონდეს საკუთარი დასაბუთება და დამოუკიდებლობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორი პროგრამა ფასდება კლასტერში, მათი იდენტურობა და ვალიდურობა თავიდანვე აშკარაა.

დოქტორანტურას სამართლიანად აქვს უფრო ფართო მასშტაბი, რომელიც გულისხმობს პროგრესს კვლევაში, სწავლისა და სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტის ჩათვლით (შეფასებული 65 ECTS, რომელთაგან 10 არჩევითი საგანია). მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს სადოქტორო სკოლა, როგორც ასეთი, პროგრამა საშუალებას აძლევს დოქტორანტებს შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგი და რეგიონულ ფონთან დაკავშირებულ საგნები. მისი დაშვების კრიტერიუმები ასევე მოიცავს დებულებას, რომ კანდიდატებს, რომლებსაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი, უნდა ჰქონდეთ დადასტურებული მნიშვნელოვანი გამოცდილება (3 წელი) ამ სფეროში. ამრიგად, პროგრამას აქვს სამმაგი მისია: გაზარდოს განახლებული კვლევების წარმოება და გამოყენება, აღჭურვოს პრაქტიკოსი მოქალაქეები უახლესი ცოდნით და რეაგირება მოახდინონ ქვეყნისა და სუბრეგიონის მოთხოვნებზე. ამგვარად, პროგრამას აქვს ღირსეული მისია, რაც გულისხმობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას.

ეს არის საოცრად ამბიციური პროგრამა, რომლის ინტერნაციონალიზაციაში პროგრამის შემქმნელებმა ძალისხმევა არ დაიშურეს. ის, რა თქმა უნდა, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას უზრუნველყოს შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ხარისხის მქონე პროგრამები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება[6]

1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა	x	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) - ფილოსოფიის დოქტორი	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო დარგის სპეციფიკასთან.
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას;

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

[6] თითეული პროგრამა შეფასდა ცალ–ცალკე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

ორივე პროგრამას გაწერილი აქვს სწავლის შედეგების სია. თუმცა, კურსის შემდგენელებმა კლასტერში ორივე პროგრამისთვის ორი განსხვავებული გზა გაიარეს. მაგისტრატურას აქვს 4 შედეგის ნაკრები, ხოლო სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს მის შედეგებს ცოდნის ელემენტების, ნოუ-ჰაუს ან უნარების და ავტონომიისა და პასუხისმგებლობის ჩამონათვალის სახით. უცნაურია, რომ სამიზნე კომპეტენციები, როგორც ჩანს, მხოლოდ ელემენტია პროგრამის სწავლის შედეგებში. ეს ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კომპეტენციები ყოვლისმომცველი ელემენტებია; ცოდნა, თეორია, ნოუ-ჰაუ, უნარები და დამოკიდებულებები ხელს უწყობს იმ კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც კურსდამთავრებულებმა საბოლოოდ უნდა მიიღონ კურსის გავლის შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩანს, რომ მაგისტრატურის სწავლის შედეგები, შეესაბამება პროგრამის პოზიციას მე-7 დონეზე როგორც ევროპული, ასევე ქართული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, გარკვეულწილად დამაბნეველია, რომ დოქტორანტმა უნდა აირჩიოს განსხვავებული გზა, არჩევანის გაკეთებისას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ როგორც კლასტერის შესაბამისობა, ასევე სადოქტორო პროგრამის პოზიცია მიიღწევა ერთიანი მიდგომის გამოყენებით.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუებში ყველა მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი მოამზადებენ კურსდამთავრებულებს, რომლებიც შეძლებენ პროფესიული განათლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარკვეული მითითებები უნდა იყოს წარმოდგენილი მასწავლებლებისთვის და, ზოგადად, ორივე პროგრამის მოქმედი პირებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში, რათა მათ გაიზიარონ აკადემიური გუნდის შეხედულება იმის შესახებ, როგორ შეძლებენ ისინი მათი განაცხადის შესრულებას მომავალში. კიდევ ერთხელ, მიზანი ნათელია: სასარგებლო იქნებოდა, თუ მკვლევარები და ზოგადად პროგრამაში ჩართული პირები გაგვიზიარებენ თავიანთ შეხედულებას, რა არის "მომავლის უნარები" და როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა იმის გათვალისწინებით, რომ ეს რთული ამოცანაა.

ორივე პროგრამის მიერ გამოყენებული დარგის მახასიათებლები ნათლად არის გაწერილი.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაში მოწვეული არიან მონათესავე დარგის დოქტორანტები მასწავლებლად, რითაც ახალგაზრდა მკვლევარებს შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ უშუალოდ პირველი პირის გამოცდილება მაღალი დონის სწავლებაში.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

4 ჯგუფი, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგებს აერთიანებს, შეესაბამება მე-7 დონეს და შეესაბამება დუბლინის შესაბამის აღმწერებს. თვითშეფასების ანგარიშში, ისევე როგორც პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და პროგრამის შემდგენელებთან ინტერვიუების დროს, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ისინი იყენებენ უახლესი კვლევის შედეგებს, რომელიც კონტექსტს ეხება. პროგრამა ავითარებს კომუნიკაციას, ჯგუფის დინამიკას და სხვა რბილ უნარებს. სამაგისტრო ნაშრომის წერა არის ძირითადი გამოწვევა, რომელიც ავითარებს თვითმართვად სწავლის უნარებს. ეს მნიშვნელოვანი სამუშაო შეიძლება განხორციელდეს გერმანიის პარტნიორ უნივერსიტეტთან მაგდებურგში.

კურსი ადაპტირებულია ახალი, პოსტპანდემიური სწავლების მეთოდების გათვალისწინებით: დაემატა შესავალი ელექტრონული სწავლების საკითხებში, რაც აჩვენებს პროგრამის შემდგენელთა უნარს ადაპტირდნენ სწრაფად ცვალებად პირობებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებთან და პროგრამაში ჩართულ სხვა პირებთან ინტერვიუში ჩანს, რომ თანამედროვე საკითხები, როგორიცაა ინკლუზია და მრავალფეროვნება, დამაკმაყოფილებლად არის გათვალისწინებული, სამწუხაროა, რომ მოდული ინკლუზიურობისა და სპეციალური საჭიროებების მქონე შემსწავლეთა შესახებ არის არჩევითი. მაშინ როცა, პროფესიული განათლება დგას იგივე გამოწვევების წინაშე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სექტორი მომსახურების სფეროში.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

მოწოდებული დოკუმენტაცია სრულია, განსაკუთრებით 106-გვერდიანი *სადოქტორო პროგრამა - პროფესიული განათლება, 2022 წ.* პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოთვლილი და ზუსტად ფორმულირებული, როგორც ცოდნის, უნარებისა და ავტონომიისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობა. მართლაც, სწორად არის გათვალისწინებული კვლევასთან კავშირი, მისი გამოყენება პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში, ისევე როგორც მისი წინსვლა და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაცია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მომავალი აკრედიტაციისათვის, იმის გასაანალიზებლად, თუ რა გავლენა აქვს პროგრამას, ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, თვალი ადევნოთ კურსამთავრებულებს, როგორც ინოვაციის აგენტებს, რომლებსაც შეუძლიათ „გაფართოვონ ცოდნის საზღვარი“ „ახალი და რთული იდეების“ გამოყენებით [დუბლის აღმწერები, 2005] ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ბევრი კითხვა ისმის მეცნიერული ფასეულობების შესახებ და მსოფლიო დგას ე.წ. „ალტერნატიული ჭეშმარიტების“ მოძრაობებითა და პოლიტიკით გამოწვეული გამოწვევების წინაშე, ჯგუფი ურჩევს კურსის დიზაინერებს, კიდევ უფრო გაუსვან ხაზი პროგრამის მიზნებში მეცნიერულ

კეთილსინდისიერებას და აჩვენონ, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა აქტიურ სწავლებას მომავალი მასწავლებლებისთვის, ტრენერებისთვის ან პროფესიული განათლების მენეჯერებისთვის დემოკრატიული ღირებულებების ხელშეწყობის შესახებ, რომელსაც მართლაც, რომ დაცვა სჭირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის პერსონალთან;
- სადოქტორო პროგრამა, პროფესიული განათლება, 2022 წ
- კურსის დოკუმენტაცია, განსაკუთრებით ყველა სილაბუსი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები:

რჩევები: ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს კურსის შემქმნელებს, რომ კიდევ უფრო გაამახვილონ ყურადღება პროგრამის მიზნებში სამეცნიერო კეთილსინდისიერების ხელშეწყობაზე.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამა სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐

პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია მატრიცები, რომლებიც გამოიყენება ორივე პროგრამის შესაფასებლად. სწავლის შედეგებსა და შესწავლილ კურსებს შორის არსებობს ჯვარედინი მიმართება. ეს ტრადიციული მიდგომა სასარგებლოა მასწავლებლებისთვის კურსის შინაარსისა და შეფასების განსაზღვრაში. თვითშეფასების ანგარიში მართებულად მიუთითებს პერსონალისათვის ტრენინგის ჩატარების აუცილებლობაზე, თუ როგორ გამოიყენონ სწავლის შედეგების შეფასება კურსის შედგენის პროცესში.

ორივე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოყენებული იქნება თავად პროგრამების გასაუმჯობესებლად. ამ შეფასებაში, რომელიც პირველად განხორციელდა, არ არის აღწერილი შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აპირებს შეიმუშაოს სპეციალური ინსტრუმენტი Erasmus+ პროგრამის ინსტიტუციური განვითარების პროექტ HERD-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტი საერთაშორისო პარტნიორებთან და ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან (სსიპ) ერთად.

ამ შეფასებაში, რომელიც პირველია კლასტერისთვის, ჯერ კიდევ არ არის შეგროვებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტუდენტების დასაქმების, კონტრაქტების ტიპისა და მისიების შესახებ.

კონკრეტული მახასიათებლები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ორივე პროგრამისთვის: ე.წ. Salzburg II რეკომენდაციები, რომელიც გამოქვეყნდა EUA-ს მიერ EHEA-ს ეგიდით და რომელიც ეხება სადოქტორო პროგრამას, ხოლო რაც შეეხება მაგისტრატურას, იგი სათანადოდ იყენებს იუნესკოს UNIVOC–ის მითითებებს კურსის შექმნის პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია პროგრამების მომავალი შეფასებისთვის საჭირო მეთოდოლოგია, სიხშირე (ყოველწლირად) და ასევე პერსონალი, რომელიც ჩართულია ამ შეფასებაში (შინაარსი შეფასდება ყოველ სემესტრში). ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია სტუდენტების უკუკავშირი.

სტუდენტების შეფასება საგულდაგულოდ არის ორგანიზებული, აღწერილი და მიეწოდება სტუდენტებს თითოეული კურსის სილაბუსში სათაურით „შეფასების სისტემა“. გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდების სხვადასხვა ფორმა.

თვითშეფასების მიხედვით, დასწრება რეგისტრირდება ელექტრონულ ჟურნალში და ეცნობება სტუდენტებს. დასწრება, როგორც ცალკე შეფასების კომპონენტი, გამოვლინდა კურსში „ეფექტური კომუნიკაცია და ჯგუფის დინამიკა, ინკლუზია პროფესიული განათლების სფეროში“: *დასწრება (სულ 5 ქულა): 0 დასწრება - 0 ქულა; 1 - 2 დასწრება: 1–2; 3 - 5 დასწრება: 3; 6 – 8 დასწრება: 4; 9-10 დასწრება: 5".* მიუხედავად იმისა, რომ დასწრება მხოლოდ 5 ქულაა (100-დან), კოლეგია მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების სამართლებრივ განკარგულებას. ექსპერტთა ჯგუფი ზოგადად თვლის, რომ დასწრება არ უნდა შეფასდეს ცალკე, როგორც შეფასების კომპონენტი, რადგან არ შეიძლება ითქვას, რომ შეესაბამება სწავლის შედეგს (ან მის კომპონენტს). მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია ყველა გაკვეთილზე დასწრება, დასწრების შეფასება ქულებით შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც ვერ დაესწრებიან ყველა გაკვეთილს სოციალური, მატერიალური ან ჯანმრთელობის მიზეზების გამო, განსაკუთრებით პროგრამის კონტექსტში, რომელსაც აქვს სასწავლი საათების დიდი რაოდენობა. ჯგუფი რეკომენდაციას უწევს სტუდენტების წახალისების ინოვაციური გზების მოძიებას, რაც ხელს შეუწყობს ყველა გაკვეთილზე დასწრებას, საბოლოო შეფასებაში მისთვის ქულების მინიჭების გარეშე.

სილაბუსები ზოგადად მიუთითებენ შეფასების დიაპაზონებზე, რომელიც გამოყენებულია სწავლის შედეგების შესაფასებლად. ჯგუფი თვლის, რომ თუ ზოგიერთი მათგანი უფრო დავიწროვდება, უკეთ აღსაქმელი გახდება სტუდენტებისთვის.

დისერტაცია (სამაგისტრო, სადოქტორო) ორივე პროგრამისთვის მთავარი პროექტია და ფორმალური შეფასების ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახა რამდენიმე სტუდენტის ნამუშევარი.ნხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი აქვეყნებენ საჭირო დოკუმენტაციას, რათა სტუდენტებს გაეწიოთ საკმარისი კონსულტაცია; ეს დადასტურდა ინტერვიუების დროს. სუბიექტებმა, რომელსაც ჯგუფი შეხვდა, აჩვენეს რომ შესრულებულია ფართო მოცულობის სამუშაო, რომელსაც აქვს კონკრეტული და ზოგადი გავლენა ადგილობრივ და საერთაშორისო საკითხებზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მკაფიოდ განსაზღვრულ პროგრამის დაგეგმვის მექანიზმს კურსის შემდგენელებისათვის. ის უზრუნველყოფს, რომ თსუ-ში პროგრამის ყველა შემდგენელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო პრინციპები და შესაბამისი ინსტრუმენტები კურსების შესაქმნელად, დიზაინისთვის, დანერგვისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ეს რეკომენდაციები უზრუნველყოფს უწყვეტი გაუმჯობესების მეთოდოლოგიის განხორციელების ჩარჩოს, რომელიც მოიცავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს კურსების, მათი სწავლის შედეგების და მათი

მიწოდების რეჟიმების შესაფასებლად. ანალოგიურად, უნივერსიტეტმა გამოსცა მკაფიო სახელმძღვანელო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების კრიტერიუმების შესახებ კომუნიკაცია ზოგადად მკაფიოა, ზოგიერთი სილაბუსები არ იძლევა ნათლად ან სრულ ხედვას გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ ასეთი შემთხვევები გასწორდეს. გარდა ამისა, ჯგუფმა აღნიშნა, რომ შეფასების მეთოდოლოგია სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების უმეტესობაში ამოწმებდა მხოლოდ წერილობით კომპეტენციებს: მიზანშეწონილი იქნება სხვადასხვა ტიპის შეფასების მეთოდების გამოყენება შესაძლებლობების უფრო დიდი მრავალფეროვნებისთვის, რათა სხვადასხვა შესაძლებლობების/კომპეტენციების მქონე ყველა სტუდენტს მიეცეს უნარის გამოყენების თანაბარი საშუალება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია
- პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება, განსაკუთრებით დანართები 9-დან 14-მდე
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება
- ინტერვიუები პროგრამის პერსონალთან
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 5 იანვრის, 2007 მინისტრის N 3 ბრძანება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,

რეკომენდაცები: - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, ყველა სილაბუსმა სრულად წარმოაჩინოს გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები.

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა არ იყოს დასწრება შეფასების კომპონენტად.

რჩევები: მიზანშეწონილი იქნება სხვადასხვა ტიპის შეფასების მეთოდების ჩართვა, რათა სხვადასხვა შესაძლებლობებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტებს თანაბრად მიეცეთ საშუალება გამოავლინონ თავიანთი უნარები.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა	☐	X	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) - ფილოსოფიის დოქტორი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

კლასტერსთვის დიდი ხელშეწყობა იყო ყურადღებით შედგენილი მეთოდოლოგია: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტები ძალიან მკაფიოა და იძლევა შესანიშნავ სახელმძღვანელოს ახალი პროგრამების შესაქმნელად. გარდა ამისა, უხვად არის მოწოდებული პროფესიული განათლების მართვის, კურსის დიზაინისა და სწავლების საჭიროების მტკიცებულება, როგორც მაგისტრატურაში, ასევე დოქტორანტურ დონეზე.

სასწავლო გეგმები შთაგონებულია კვლევით და მტკიცედ არის გათვალისიწნებული საერთაშორისო პერსპექტივაში, რაც ძალიან აქტუალურია სამაგისტრო კურსისთვის და მით უმეტეს დოქტორანტებისთვის.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის წესების შესაბამისად მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების პროგრამებთან მიმართებაში. მისი კომპონენტები (კურსები) კარგად არის აღწერილი.

მაგისტრატურის სტრუქტურა თსუ–სა და გერმანიის ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტის ექსპერტებს შორის შორსმიმავალი თანამშრომლობის შედეგია. პროგრამის შემუშავებისთვის გამოყენებულია უახლესი კვლევები და საერთაშორისო გამოცდილება და თანამშრომლობა. იუნესკოს UNIVOC-ის ექსპერტიზა, რომელიც გადმოცემულია გერმანელი ექსპერტების მიერ, თვლის, რომ პროფესიული განათლების უახლესი საკითხები გაშუქებულია, რაც პროგრამას ღრმას და საფუძვლიანს ხდის. ინტერვიუებში სტუდენტებმა გამოხატეს თავიანთი კმაყოფილება კურსის მიზნებთან და რეალიზებასთან დაკავშირებით.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და მიზნისთვის შესაფერისია. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაწესებულებამ მოდული ინკლუზიური განათლებისა და შშმ შემსწავლელთა შესახებ, გადაიტანოს სავალდებულო კომპონენტად, რადგან მოგვაჩნია, რომ ყველა მასწავლებელს უნდა შეეძლოს ყველა მოსწავლის სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილება.

ყოველი კურსის ბოლოს მასწავლებლები ითვლიან სტუდენტებისთვის დაკისრებულ დატვირთვას. ჯგუფმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო საათების რაოდენობა შესაბამისი ჩანდა პროგრამისა და დონისთვის, სასურველია დაემატოს საათები იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს საკმარისი დრო დარჩეს დამოუკიდებლად სწავლისათვის, რეფლექსიისთვის და თეზისებზე მუშაობისთვის.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

ისევე როგორც მაგისტრატურა, სადოქტორო პროგრამა მდიდარი, შორს მიმავალი საერთაშორისო თანამშრომლობის ნაყოფია. უნივერსიტეტი კარგად არის აღჭურვილი ასეთი მაღალი დონის კურსების შესაქმნელად და უზრუნველყოფს საჭირო ჩარჩოს ხარისხიანი სადოქტორო პროგრამის შემუშავებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა დაბალანსებულია და ლოგიკურია დოქტორანტურის პროგრამისთვის: კვლევა მოითხოვს სტუდენტების დიდ დროსა და ძალისხმევას, თუმცა კურსის დიზაინერებმა შეინარჩუნეს სწავლების კომპონენტი, რომელიც აღჭურვავს სტუდენტებს ცოდნითა და უნარებით. კურსის განვითარების პროგრესი ლოგიკური ჩანდა, თუმცა ჯგუფი გთავაზობთ, რომ კურსი „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სწავლებისა და სწავლის მეთოდები“ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც „ასისტენტობის“ წინაპირობა. შესაბამისად, შესაძლებელია დაწესებულებამ არჩევითიდან გადაიტანოს იგი სავალდებულო სასწავლო კომპონენტად.

დოქტორანტებთან ინტერვიუში ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ რიგმა კანდიდატებმა (შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტებმა) კურსი 10 წლის წინ გაიარეს. მათი სწავლის ხანგრძლივობა აჩენს კითხვას, არიან თუ არა ისინი აქტიური სტუდენტები და რაც მთავარია, აქვთ თუ არა საშუალება თვალყური ადევნონ თავიანთ კვლევით სფეროში უახლეს მოვლენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სამუშაოს (წარსულში, აწმყოში და პოტენციურად მომავალში) ინოვაციური ღირებულების დაკარგვის რისკი ემუქრება. ჯგუფს მიაჩნდა, რომ ინტერვიუებში მათი ჩართვა მნიშნველოვანი იყო პროგრამისთვის. ამიტომ ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა - და არა პროგრამებმა ან ფაკულტეტმა - შექმნას მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს და შემდეგ მხარი დაუჭიროს ჩამორჩენილ სტუდენტებს, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა მათგანმა შეძლოს სამუშაოს დასრულება. ეს საკითხი, შესაძლებელია წინა პლანზე იქნეს განხილული მიმდინარე რეფლექსიაში, რომელიც ეხება საუნივერსიტეტო დონეზე სადოქტორო სკოლის შექმნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით, კერძოდ
- პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების დოკუმენტები, განსაკუთრებით დანართები 1, 3, 4 და 5
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება კოლეგების მიერ
- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,

რეკომენდაციები:

რჩევები: ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ მოდული ინკლუზიურობასა და სსსმ მქონე მოსწავლეებზე გადაიტანონ კურსის სავალდებულო კომპონენტში.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

მითითებული

რჩევები: - შეიძლება მიზანშეწონილი იყოს „პროფესიული განათლების სწავლებისა და სწავლის მეთოდების“ „ასისტენტობის“ წინაპირობად ქცევა და მისი გადატანა არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კომპონენტზე.

- უნივერსიტეტს შეუძლია შექმნას მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების გამოვლენას და მხარდაჭერას მათ სადოქტორო საქმიანობაში.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	x	☐	☐	☐

პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	x	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

ორივე პროგრამისთვის კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სამიზნე სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსები, როგორც წესი, შეიცავს ბიბლიოგრაფიული ცნობების დიდ რაოდენობას. კლასტერთან დაკავშირებული დოკუმენტები დეტალურია, მოწოდებულია ადვილად ხელმისაწვდომ ფორმატში და უზრუნველყოფს აუცილებელ გზამკვლევს სტუდენტებისთვის, მოწვეული პერსონალისთვის და მკვლევარებისთვის.

კლასტერზე უფრო მეტია მოწვეული პედაგოგ-მკვლევარი, ვიდრე თსუ-ს პერსონალი. OcGU-სა და თსუ-ს შორის თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში გერმანელი სპეციალისტები კითხულობენ ლექციების დიდ რაოდენობას, რაც ქმნის ქართულ-გერმანულ დაძმობილებას, პროგრამის სწავლებისთვის ცოდნის გადაცემას. ეს მნიშვნელოვანია როგორც მაგისტრატურის, ისე დოქტორანტურის მომავლისთვის, რადგან ასეთი თანამშრომლობა შესაძლოა შესუსტდეს დაფინანსების ახალი ფორმების მოძიებით, მიუხედავად, ამ შემთხვევაში, არსებული ძალიან მყარი ფესვებისა.

საკმაოდ რეალისტურად, ორივე პროგრამა მოიცავს სამუშაოზე დაფუძნებული გამოცდილების უზრუნველყოფას: ორი სტაჟირება მაგისტრატურაზე, ასისტენტობა დოქტორანტურაზე. გარდა ამისა, პროგრამები ავსებენ მათ სავალდებულო მოდულებს არჩევითი საგნების 10 ECTS კრედიტით.

ლოგიკურად, დოქტორანტურის კვლევის კომპონენტს არ აქვს ECTS კრედიტები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიჩნიეს, რომ ორივე პროგრამა ლოგიკურად არის ორგანიზებული; როგორც ჩანს, სტუდენტებს არ უჭირთ სასწავლო პროცესში ჩართვა. როგორც ასეთი, ორივე კურსის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს მათ წარმატებას.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება,

მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

სავალდებულო კურსები შეადგენს დატვირთვის ნახევარს; ისინი იყოფა საბაზისო და მოწინავე კურსებად, რათა შეიქმნას ლოგიკური პროგრესი ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის განმავლობაში. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ სამუშაო გამოცდილება ორი სტაჟირების გზით, რომლებიც კარგად არის აღწერილი დოკუმენტაციაში.

სტუდენტთა კვლევისთვის მომზადების მიზნისთვის, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 20 ECTS კრედიტით. ასევე მოწოდებულია დოკუმენტაცია. ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამაგისტრო ნაშრომი შეესამბამება სამაგისტრო პროგრამის როლს და ხელს უწყობს საქართველოში პროფესიული განათლების რეგიონულ და ეროვნულ განვითარებას. ჯგუფისთვის მიწოდებული საგნების ნიმუშში ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა კარგი ბალანსი რეგიონულ საკითხებსა და უფრო ფართო გამოხმაურებებს შორის. საერთო ჯამში, 120-დან 35 ECTS კრედიტი იძლევა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას და პროფესიული განათლების საკითხებზე პრაქტიკულ მიდგომებს.

ელექტრონული სწავლების კურსით გამოვლინდა პროგრამის მონიტორინგის მტკიცებულება პოსტპანდემიური სწავლის ახალ პრაქტიკასთან და მეთოდოლოგიებთან პროგრამის ადაპტაციის მიმართულებით.

„ადამიანური რესურსების მართვის“ კურსის მიზნები ეხება მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტი *„უზრუნველყოს ღრმა ცოდნით ტექნიკური პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი დებულებების შესახებ: ცნებები, ტერმინები, ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტები, შეფასების ინსტრუმენტები, პროცესები, პროცედურები და მეთოდოლოგია. კურსი უნდა დაეხმაროს სტუდენტებს იმის გაგებაში, თუ რა არის ხარისხის კულტურა და როგორ შეიძლება ის დამკვიდრდეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“.* იგივე მიზნებია აღნიშნული „ხარისხის უზრუნველყოფაში ტექნიკური პროფესიული განათლების სფეროში“. ამ შემთხვევაში, რეკომენდირებულია, რომ ავტორებმა დააკავშირონ კურსის მიზნები და კურსის შინაარსი.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

კურსის კომპონენტი შემოიფარგლება 35 ECTS კრედიტით, აქედან 25 ECTS კრედიტი გამოიყოფა სავალდებულო კურსებზე და 10 ECTS კრედიტი არჩევით კომპონენტზე, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს კონცენტრირება მოახდინონ სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტზე. გარკვეული ბუნდოვანებაა დოკუმენტის მე-3 გვერდზე ბეჭდური შეცდომის გამო: მაშინ როცა სავალდებულო კურსებს ეძლევა 25 ECTS კრედიტი, ამ სავალდებულო კურსების სია შეადგენს 35 ECTS კრედიტს. შეფასების ნაწილი უზრუნველყოფილია სტუდენტის სადოქტორო საგანთან დაკავშირებული 2 (ან 3, ერთი ინტერვიუს მიხედვით) ნაშრომის პრეზენტაციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამა, პროფესიული განათლება, 2022 წ
- დოკუმენტაცია კურსებზე: სილაბუსები
- ინტერვიუები სტუდენტებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,

რეკომენდაცები: რეკომენდებულია ადამიანური რესურსების მართვის კურსის მიზნების მორგება კურსის შინაარსთან.

რჩევები: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	☐	X	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე მიღების წინაპირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურები. არსებობს რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სწავლის პროცესს, რომელიც ასევე

ასახავს თსუ-ში საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების პროცედურებს და სტუდენტთა მობილობის წესებს.

უნივერსიტეტს აქვს *საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი,* რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. იგი შეიცავს ინფორმაციას თითოეულ პროგრამაზე მისაღები წინაპირობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, ამიტომ დოკუმენტების ნაწილი, მაგალითად, მისაღები წინაპირობები, ხელმისაწვდომია მხოლოდ ვებგვერდის ძველ ვერსიაში. როგორც კი განახლებული ვებგვერდი www.tsu.ge მზად იქნება, განახლებული პროგრამის კატალოგი საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

პროფესიული განათლების/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარების სამაგისტრო პროგრამის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ხარისხი სწავლის ნებისმიერ სფეროში. მათ უნდა ჩააბარონ B ტიპის ერთიანი სამაგისტრო გამოცდა. ასევე უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საბუთი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდით ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.

უნივერსიტეტი აწყობს გასაუბრებას წარმატებული კანდიდატებისთვის. ამ გასაუბრებით უნდა შემოწმდეს კანდიდატთა მოტივაცია, ლიდერობისა და ინტერპერსონალური უნარები. გასაუბრების სავარაუდო კითხვები და შეფასების კრიტერიუმები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე.

ვინაიდან პროგრამას ერთობლივად ასწავლიან გერმანელი ლექტორები, უპირატესობა მიენიჭებათ გერმანული ენის მცოდნე კანდიდატებს.

უცხო ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სტუდენტის სტატუსი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები დაიშვებიან პროგრამაზე მობილობის წესის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობის წესების დაცვით.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

პროფესიული განათლების სადოქტორო პროგრამის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია ნებისმიერ სფეროში. მათ უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (TOEFL IBT 110; IELTS 7,0). იმ კანდიდატებს, რომელთა მაგისტრის ხარისხი განათლების გარდა სხვა დარგშია, უნდა

ჰქონდეთ მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება პროფესიული განათლებისა და სწავლების სფეროში.

ყველა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს CV და ორგვერდიანი სამოტივაციო წერილი, რომელიც გამოავლენს აპლიკანტის ინტერესის სფეროებს და მათ სამეცნიერო მიზნებს და განმარტავს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზეზებს. აპლიკანტებმა ასევე უნდა წარმოადგინონ სარეკომენდაციო წერილი პროგრამის ხელმძღვანელისგან და მიიღონ სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა. ეს მიიღება მას შემდეგ, რაც კანდიდატი წერილობით წარადგენს თავისი კვლევის წინადადებას ან ხედვას საკვლევი თემის განვითარების შესახებ.

ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა
- პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დამუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები.
- მინიმალური სადოქტორო სტანდარტი
- სტუდენტთა მობილობის წესები და პროცედურები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი ვებგვერდზე გამოაქვეყნებს მისაღები გასაუბრების სავარაუდო თემებს ან კითხვებს და შეფასების კრიტერიუმებს.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები: უნივერსიტეტმა უნდა განმარტოს, თუ როგორ ფასდება კვლევითი განაცხადები მიღების ეტაპზე.

რჩევები: უკეთესი იქნება, უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს კვლევითი განაცხადების შეფასებისა და დოქტორანტებთან გასაუბრების კრიტერიუმები.

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები.	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება/ტრენინგე ბი და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარება გადამწყვეტია ორივე პროგრამისთვის. პროგრამებში არის რამდენიმე კურსი, რომელიც ხელს უწყობს ამ უნარების მიღწევას. კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად კვლევის უნარების განვითარების მიზნით, კურსის სილაბუსებში მოცემულია თეორიული სწავლისა და პრაქტიკული მუშაობის მნიშვნელოვანი თანაფარდობა.

კვლევის თემები განისაზღვრება ბაზრის საჭიროებების მიხედვით. როგორც ნათლად გამოჩნდა ინტერვიუების დროს, ყველა დაინტერესებული მხარე, ტექნიკური პროფესიული განათლების დაწესებულებები, დამსაქმებლები და პროფესიული განათლების მეცნიერები მზად არიან შესთავაზონ კვლევითი თემები სტუდენტებს, ამიტომ პროგრამები შესაძლებელს ხდის სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. შესაბამისი სილაბუსები აღწერს აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც სტუდენტებმა (ინდივიდუალურად ან 4-5-სტუდენტიან ჯგუფში) უნდა შეასრულონ.

უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები პროფესიული განათლების ორგანიზაციებთან, რომლებსაც სურთ თანამშრომლობა და სტუდენტების უზრუნველყოფა კვლევითი პროექტებით და პრაქტიკული დავალებებით. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართულნი დისკუსიებში სავარაუდო კვლევის სფეროებისა და პრაქტიკული აქტივობების შესახებ. ეს დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს.

პროგრამამ შეიმუშავა თანასწავლების სისტემა მაგდებურგის უნივერსიტეტის სპეციალისტებთან ერთად. ასე რომ, სტუდენტები ასევე ისარგებლებენ ამ მრავალფეროვანი სასწავლო ატმოსფეროთი. ეს ასევე გაზრდის კვლევის ხარისხს, გაამრავალფეროვნებს კვლევით ინტერესებს, ჩართავს სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და ხელს შეუწყობს ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნას და დანერგვას. სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ გერმანელ სტუდენტებს და განიხილონ ერთმანეთის კვლევითი ინტერესები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

პროფესიული განათლების/ტრენინგების და ადამიანური რესურსების განვითარების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მკვლევარების, ლიდერებისა და პრაქტიკოსების მომზადება. პროგრამის სწავლის შედეგებში ნათქვამია, რომ კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დამოუკიდებლად განახორციელონ კვლევა პროფესიული

განათლებისა და ადამიანური რესურსების განვითარების სფეროებში.

პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ძალიან კარგად არის განვითარებული. იგი მოიცავს კურსებს "კვლევის მეთოდოლოგია 1", 5 კრედიტი, "კვლევის მეთოდოლოგია 2", 5 კრედიტი, "SPSS", 5 კრედიტი, "საგანმანათლებლო ლაბორატორია", 5 კრედიტი, "სტაჟირება კვლევითი (სამაგისტრო ნაშრომი) ინტერესის მიხედვით", 10 კრედიტი, და „სამაგისტრო ნაშრომი“, 20 კრედიტი.

კურსის „საგანმანათლებლო ლაბორატორია“ დროს, სტუდენტებს მოეთხოვებათ იმუშაონ ჯგუფურად და ჩაატარონ კვლევა, მოამზადონ პოლიტიკის დოკუმენტები, ანალიტიკური დოკუმენტები და სხვა პროდუქტები შერჩეული პროექტისთვის. ამრიგად, ისინი მიიღებენ გამოცდილებას რეალურ ცხოვრებაში მუშაობისას.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

პროფესიული განათლების სადოქტორო პროგრამის მიზნები მოიცავს მკვლევართა მომზადებას, რომლებიც შეისწავლიან გამოწვევებს და გააანალიზებენ პროფესიული განათლების სექტორის შესაბამის საჭიროებებს განათლების მეცნიერების სფეროს მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით; განათლების მეცნიერების სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების ანალიზსა და სინთეზზე დაყრდნობით შექმნიან ინოვაციურ სამეცნიერო პროდუქტებს.

პროფესიული განათლების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, კურსის სილაბუსებში იგეგმება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები. სავალდებულო კურსებია: *„კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია პროფესიულ განათლებაში 1“,* 5 კრედიტი *და „კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია პროფესიულ განათლებაში 2“,* 5 კრედიტი.

სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. ეს კომპონენტი მოიცავს „კვლევით პროექტს 1“, „კვლევით პროექტს 2“ და „სადოქტორო დისერტაციას“.

სადოქტორო პროგრამის მიზნები ასევე მოიცავს სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ჩაერთვებიან აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში საერთაშორისო დონეზე პროფესიული განათლებისა და განათლების მეცნიერებების სფეროში; პროფესიული განათლების მიმწოდებლებში ეფექტურად მართავენ სასწავლო პროცესს სწავლა-სწავლების პროცესის კანონზომიერებების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე; ეფექტურად მართავენ სწავლების პროცესს პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-სწავლების პროცესის კანონზომიერებების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე.

დოქტორანტებს აქვთ 5 კრედიტიანი სავალდებულო კურსი "ასისტენტობა". ასისტენტობის პერიოდში სტუდენტებს უწევთ სხვადასხვა აქტივობების შესრულება, როგორიცაა სემინარების წარმართვა, ლექციების წაკითხვა, სტუდენტების ნაშრომების

შეფასება ან საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. სტუდენტი სწავლობს სწავლებისა და სწავლის პროცესის მართვას. ეს ასისტენტობა აუმჯობესებს მის პრაქტიკულ და აკადემიურ უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა
- პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
- მხარდაჭერის წერილები მაგდებურგის უნივერსიტეტიდან
- პროგრამის თვით-შფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ ადამიანებთან
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან და დოქტორანტებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) გამოყენება დაგეგმილია პროგრამის ყველა კურსში. სტუდენტური დავალებების უმეტესობა ეხება რეალურ ცხოვრებაში არსებულ პრობლემებს, რომლებიც უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მიერ, რათა შესაძლებელი გახდეს პრაქტიკული კვლევა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.

პროგრამა უზურნველყოფს სწავლების/სწავლის და კვლევის სხვადასხვა მეთოდის ჩამონათვალს. თუმცა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები არ არის ერთგვაროვანი სილაბუსებში. სწავლების მეთოდები არჩეულია კურსებში კურსის სწავლის შედეგებისა და შინაარსის გათვალისწინებით. ლექტორს აქვს აკადემიური თავისუფლება, განსაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მეთოდები და აქტივობები.

პროგრამის აღწერაში ნათქვამია, რომ სწავლებასა და სწავლაში გამოყენებული იქნება სოკრატული მეთოდი. სხვადასხვა კურსებში ძირითადად გამოიყენება შემდეგი მეთოდები და აქტივობები: შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში; დისკუსია და დებატები; გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა; ანალიზი და სინთეზი; პრაქტიკული ამოცანები

(ზეპირი და წერილობითი); როლური აქტივობები; დემონსტრირება და ახსნა; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

კურსის სილაბუსების უმეტესობაში გამოყენებულია ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჩართულობას. შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL) არის აქტიური სწავლების მეთოდი, რომელიც შედის ბევრ კურსში. ასევე, პროგრამის აღწერაში ნათქვამია, რომ ინტენსიურად იქნება გამოყენებული შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი.

ზემოხსენებული მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და შეესაბამება კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

პროგრამების მიხედვით, მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა
- პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები
- პროგრამის თვით-შეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

თითოეული პროგრამისთვის შექმნილია სტუდენტების შეფასების სისტემა და თითოეული სილაბუსი აღწერს შეფასების მეთოდს და ფორმას; სწავლების მეთოდები ნათელია და ადაპტირებულია კურსის სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგების შეფასება გაადვილებულია პედაგოგებისთისაც და სტუდენტებისთვისაც, რადგან სწავლების მეთოდები ადაპტირებულია თითოეული კურსის მიზანთან. შეფასების სისტემა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით და სტუდენტის სწავლის შედეგები და მიღწევები შესაბამისად ფასდება.

საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და საბოლოო შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, როლური თამაშის ტექნოლოგია, დისკუსიებში მონაწილეობა და ა.შ.)

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს გარკვეული წილი საბოლოო შეფასებაში შეფასების საერთო ქულებიდან (100 ქულა), რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტებს აკადემიური სემესტრის დასაწყისში. თითოეული პროფესორი წყვეტს როგორ

გადაანაწილოს ქულები კომპონენტების მიხედვით, სხვადასხვა აქტივობიდან და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულოა და მნიშვნელოვანი როლი აქვს ცოდნის შეჯამებაში და რომ მას იყენებენ კვლევაში. სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება დისერტაციის დაცვის ფაკულტეტის დებულების მიხედვით. კომისია ნაშრომს შეაფასებს რიგი კრიტერიუმებით და შეფასების სისტემით.

ეს კრიტერიუმებია:

- საკითხის აქტუალურობა;
- კვლევის სიახლე;
- თეორიულ-მეთოდური აქტუალობა;
- ლოგიკა და არგუმენტაცია;
- ადეკვატური ინტერპრეტაცია;
- დასკვნების შესაბამისობა მიღებულ შედეგებთან;
- დასახული მიზანი და კვლევის ამოცანები, ტექსტის გამჭვირვალობა/სიცხადე, ტექსტის სტრუქტურა, აკადემიური ციტირების სტილი.

შეფასების სისტემა შედგება ხუთი სახის დადებითი შეფასებისაგან:

a) (A) ფრიადი -91-100 ქულა;
b) (B) ძალიან კარგი - -81-90 ქულა;
c) (C) კარგი - -71-80 ქულა;
d) (D) დამაკმაყოფილებელი - -61-70 ქულა;
e) (E) საკმარისი - -51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასებაა:
f) (FX) ვერ ჩააბარა-მაქსიმალური შეფასების 41-50
g) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები

სტუდენტებს დაუსვეს კონკრეტული კითხვები დასწრების შეფასების საკითხთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ნამდვილად აფასებენ ამ პრაქტიკას, რადგან თვლიან რომ ის, არა იმდენად დასწრების შეფასებაა, არამედ იმის შეფასება, თუ რამდენად აქტიურები არიან სწავლის დროს.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

დოქტორანტების ცოდნა ფასდება ქვემოთ მოყვანილი 100 ქულიანი სისტემით, სადაც მინიმალური შეფასება უდრის 51 ქულას. შეფასება 60 ქულის ფარგლებშია (31 ქულა ითვლება დადებით შეფასებად), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (20 ქულა ითვლება დადებით შეფასებად), წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. დოქტორანტებს მკაცრად მოეთხოვებათ ორი სამეცნიერო-

კვლევითი პროექტის გამოქვეყნება, რომლებიც მათი სადოქტორო დისერტაციის კვლევის განუყოფელი ნაწილია.

დისერტაცია ფასდება ანონიმურად დისერტაციის დაცვის კომისიის წევრების მიერ 100-ქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის, დისერტაციის დაცვის კომისიის ბიულეტენების გამომთვლელი კომისია ითვლის საშუალო არითმეტიკულ ქულას 100 ქულის საფუძველზე, რომელიც შედარებულია ლათინურ შეფასებასთან მკაფიო და შესაბამისი სქემის მიხედვით, რომელიც რანჟირდება „summa cum laude"-დან (ფრიადი) „sub omni canone"-მდე (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) 10 ქულის მატებით. შეფასება დადებითად ითვლება, თუ ის 51 ქულაზე მეტია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან
- სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო გეგმა
- სადოქტორო პროგრამა, პროფესიული განათლება
- პროგრამის ხელმძღვანელი
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 3 ბრძანება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენეტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება/ტრენინგე ბი და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება ტრენინგი და ადამიანური რესურსების განვითარება, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

სტუდენტები იღებენ დახმარებას თითოეული პროფესორისგან საჭიროების შემთხვევაში. პროფესორები თავისუფლები არიან კონსულტაციასთან დაკავშირებით და სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მათ და მოითხოვონ ინფორმაცია მათი კურსის შესახებ. შენობას, რომელშიც ორივე პროგრამაა განთავსებული, აქვს რამდენიმე სივრცე, რომელიც შექმნილია სტუდენტების / აკადემიური კონსულტაციების გასაადვილებლად.

უფრო მეტიც, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ წვდომა თსუ-ს კარიერის მხარდაჭერის სერვისებზე, სტაჟირების მხარდაჭერისა და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებზე. ისინი ყოველდღიურად იღებენ წერილებს ახალი კონფერენციების, ახალი სამუშაო შესაძლებლობებისა და ნებისმიერი აქტივობის შესახებ, რომელშიც მათ სურთ მონაწილეობა.

ინტერვიუმ გამოავლინა სტუდენტების დადებითი დამოკიდებულება აკადემიური პერსონალის მიმართ. ისინი ყოველთვის მზად არიან გაუზიარონ სტუდენტებს ყველა სახის ინფორმაცია და რჩევა, რათა გააუმჯობესონ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესები. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია იმ კონფერენციების, სტაჟირების და ტრენინგების შესახებ, რომელიც ტარდება უნივერსიტეტის შიგნით. მუდლის უფასო ონლაინ სწავლის მართვის სისტემა (e-learning.tsu.ge) ეხმარება სტუდენტებს მიიღონ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი.

გარდა ამისა, VoCasian პროექტი წამოიწყებს პროფესიული განათლების სამაგისტრო სკოლას, რომელიც შემდგომში მხარს დაუჭერს დოქტორანტებს და მაგისტრანტებსაც. სტუდენტებს აქვთ წვდომა თსუ-ის ეგიდის ქვეშ არსებულ ეროვნულ ბიბლიოთეკაზე, რომელიც ადაპტირებულია სტუდენტებისთვის, რომლებსაც საკვლევ პროექტებზე და ნაშრომებზე მუშაობისთვის კვლევითი სივრცე სჭირდებათ.

გაძლიერებული მობილობის თვალსაზრისით, სპეციალური გრანტები და Erasmus+ KA1 მობილობის გრანტი ხელმისაწვდომი გახდება OvGU Magdeburg-თან თანამშრომლობით. გარდა ამისა, რიგი კონფერენციები, რომლებიც ტარდება თსუ-ში, ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის, როგორც პლატფორმა, თავიანთი მიგნებების წარმოსაჩენად. კვლევის მონაცემების გამოქვეყნება დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომის გავლენა საკმარისად მაღალი იქნება.

გარდა ამისა, არიან საერთაშორისო სტუდენტები უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. აკადემიური პერსონალი ასევე რთავს საერთაშორისო სტუდენტებს სასწავლო პროცესში და პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა, სადოქტორო პროგრამა
- პროგრამა და სასწავლო გეგმა (მაგისტრატურა)
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ადგილზე ვიზიტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი აქვეყნებს მკაფიო და შესაბამის დოკუმენტაციას სადისერტაციო ხელმძღვანელობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. მაგისტრანტებმა გამოთქვეს თავიანთი კმაყოფილება დისერტაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. ისინი ძალიან აფასებენ იმ სპეციალიზებულ დახმარებას, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი იყო აკადემიური გუნდის მხრიდან. ისინი არიან კვალიფიციური სპეციალისტები თავიანთ დარგში და სტუდენტები მათგან სწორ დახმარებას იღებენ. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს სწავლების გამოცდილება. დისერტაციის ხელმძღვანელი ირჩევა სამეცნიერო კვლევის გამოცდილებიდან გამომდინარე შესაბამის კვლევით თემაზე. სწავლების მეთოდი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილე ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ პროგრამის შესახებ საკმარისზე მეტ ინფორმაციას იღებენ აკადემიური პერსონალისგან.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოთქვეს, რომ მათ სჭირდებათ სტრუქტურირებული განყოფილება სტუდენტების მხარდაჭერისთვის. ეს დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში, როგორც „გაუმჯობესების სფერო“.

დოქტორანტის ხელმძღვანელის მუშაობის ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის ადმინისტრაციას ყოველი სემესტრის ბოლოს დადგენილ ვადაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ანგარიშის განხილვას.

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა კვლევითი პროექტის წარდგენა, რომელიც მოიცავს: დისერტაციის დასახელებას; კვლევის მიზნებს; კვლევის კითხვას/კითხვებს; ჰიპოთეზას; შემოთავაზებული კვლევის მეთოდოლოგიას; და ლიტერატურის მიმოხილვის პრეზენტაციას. კვლევითი წინადადება არ არის „სამეცნიერო კვლევითი პროექტი“, რომელიც არის დისერტაციის ნაწილი, არამედ ერთგვარი სტრუქტურირებული კვლევის გეგმა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს მომავალში დისერტაციის დაწერაში. სამწუხაროდ, დოქტორანტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ინტერვიუში, არ იყვნენ „აქტიური“ სტუდენტები. მათ აღნიშნეს, რომ სჭირდებოდათ გარკვეული სახის სტიმული უნივერსიტეტის, აკადემიური პერსონალის ან უბრალოდ უნივერსიტეტიდან ვინმეს მხრიდან, რათა გაეზარდათ მოტივაცია, რომ დაიწყონ დისერტაციაზე მუშაობა, კვლევა და დაასრულონ დოქტორანტურა. ერთ-ერთმა დოქტორანტმა თქვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უბიძგებს სტუდენტებს გააგრძელონ დისერტაციაზე მუშაობა, მაგრამ რატომღაც ეს საკმარისი არ არის.

გარდა ამისა, ინტერვიუს დროს დაისვა კითხვა სამომავლოდ ჩარიცხული დოქტორანტების რაოდენობასა და ხელმძღვანელების შესაბამის რაოდენობაზე. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 3 წლის განმავლობაში ელიან თითქმის 15 სტუდენტის ჩარიცხვას, ანუ წელიწადში 5 სტუდენტი. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხელმძღვანელთა რაოდენობა არ არის საკმარისი 15 დოქტორანტისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრისას, ცხრიდან ხუთი იყო დაკავშირებული უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულებით, ხოლო დოქტორანტთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა აქტიური სტატუსი, დანარჩენებს კი შეჩერებული და პროგრამაზე ათი წლის წინ იყვნენ ჩარიცხულნი. ჯგუფის აზრით, საქმე არ ეხება იმდენად სადოქტორო პროგრამაზე პასუხისმგებელი გუნდის მიერ ორგანიზებული ხელმძღვანელობის საკითხს, არამედ უნივერსიტეტის საჭიროებას, შეიმუშაოს გარკვეული საშუალებები არააქტიური სტუდენტების იდენტიფიცირებისთვის, ხოლო შემდეგ მათი მხარდაჭერისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დოქტორანტურის პროგრამისთვის, რომელიც თავის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალთა ჩართვას აპირებს: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ ხშირად უწევთ პროგრამის ფარგლებს გარეთ მუშაობა (პროექტზე მუშაობა, კონსულტაცია), რაც შეაფერხებს კვლევაზე მუშაობას.

აღწერა და ანალიზი

მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები, **პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა** **პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა**	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	5
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	8
მაგისტრანტთა რაოდენობა	10
დოქტორანტთა რაოდენობა	5
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	0,50
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	1,60

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- ჩარიცხვის პროცედურები (Ph.D)
- სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტები
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები, განსაკუთრებით დანართები 1, 3 და 4

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები: უკეთესი იქნება მკაფიო ინფორმაციის მიღება ხელმძღვანელთა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. გთხოვთ, დააზუსტოთ ხელმძღვანელებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
როფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება (VET) სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა

და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ თსუ-ში პროგრამების ხელმძღვანელობა შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმასა და მიზნებს. ორივე პროგრამა დაკომპლექტებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორებით. აკადემიკოსებისა და მასწავლებლების არჩევანი, როგორც ჩანს, ლოგიკურად მოხდა მათი გამოცდილების, უახლეს კვლევებში მათი ჩართულობის საფუძველზე, მაგრამ ასევე მათი რეალური გამოცდილების მიხედვით.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას, რასაც ცხადყოფს სასწავლო გეგმა, პროგრამის საათობრივი გაანგარიშება, საშტატო განრიგი და აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის დაანგარიშების წესი. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები შეესაბამება კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედი დებულების მოთხოვნებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (რეზიუმეები), რომლებიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა, ადასტურებს, რომ მათი კვალიფიკაცია და მონაცემები შეესაბამება მოთხოვნებსა და სტუდენტთა რაოდენობას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების და აკადემიური პერსონალისთვის მინიჭებული ფუნქციების სათანადო შესრულებას, მათ შორის კვლევითი პროექტების განხორციელებას.

ფაკულტეტის სამსახურის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სრულ მომსახურებას უწევს პროგრამებში ჩარიცხულ სტუდენტებს. პროგრამების სასწავლო და კვლევითი პროცესი მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩართონ სხვა აქტივობები სასწავლო პროცესის შესაბამისად, მათ შორის შეძლონ ნახევარ განაკვეთზე დასაქმება. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ორივე პროგრამაზე შეუძლიათ უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ პროგრამის ხელმძღვანელებთან. მათ თქვეს, რომ სხვა პერსონალი, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც საგანმანათლებლო აქტივობებში მხარდაჭერას უზრუნველყოფს, ძალიან ეხმარება სტუდენტებს.

რომ შევაჯამოთ, პროგრამებს განახორციელებს კომპეტენტური, გამოცდილი აკადემიური პერსონალი შესაბამისი სასწავლო და კვლევის კვალიფიკაციით და ისეთი კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად და ყველა სტუდენტის წარმატების უზრუნველსაყოფად.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

მაგისტრატურაში ჩართულია 24 აკადემიკოსი თსუ-დან და საერთაშორისო ინსტიტუტებიდან (თსუ აკადემიური პერსონალი - 10, მოწვეული პროფესორი - 14, მათ შორის 2 უცხოელი).

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის პერსონალი დარგობრივი ექსპერტიზით[7]	მათ შორის შესაბამის დარგში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი.[8]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	24	17	21	13
- პროფესორი:	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	5	3	4	4
- ასისტენტ პროფესორი	6	5	6	6
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	8	6	3	
სამეცნიერო პერსონალი	2			

მაგისტრატურის სასწავლო გუნდის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მასწავლებელთა გამოცდილების მრავალფეროვნება. აკადემიურ გამოცდილებას ემატება დიდი საერთაშორისო გამოცდილება, პროექტების მართვის კომპეტენცია, გამოცდილება ეკონომიკაში, ფინანსებსა და ბიზნესის ადმინისტრირებაში და ა.შ. ამ მხრივ, სამაგისტრო პროგრამა დადებითად პასუხობს პროფესიული განათლების მიმწოდებლებისა და ზოგადად დამსაქმებლების მიერ გამოთქმულ მრავალფეროვან საჭიროებებს.

პროფესიული განათლება, დოქტორანტურა

აღწერა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობს 14 აკადემიკოსი, აქედან 6 თსუ-დან და 8 მოწვეული უცხოელი პროფესორი და მასწავლებელი. თსუ-ის საერთაშორისო ექსპერტებთან თანაფარდობა (6-დან 8-მდე) ადასტურებს პროგრამის საერთაშორისო ღიაობას და უნივერსიტეტის შესაძლებლობას, მოიზიდოს მაღალი ხარისხის

[7] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[8] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

საერთაშორისო მკვლევარები.

სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელები არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორები (ერთი თსუ აკადემიკოსი, ერთი პროფესორი OvGU-დან). პროგრამების ხელმძღვანელები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

მოცემული ცხრილი შედგენილია პერსონალის რეზიუმეებიდან ამოღებული ინფორმაციით. მხოლოდ 12 იყო შეტანილი თვითშეფასების ანგარიშში. ორივე უნივერსიტეტის თანამშრომლები (თსუ, OvGU) მიჩნეულნი არიან აფილირებულებად, ორივე დაწესებულებას შორის არსებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით.

პროფესიული განათლება, დოქტორანტურა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის პერსონალი დარგობრივი ექსპერტიზით[9]	მათ შორის შესაბამის დარგში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი.[10]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	12	11	11	12 (7 თსუ+ 5 OvGU)
- პროფესორი:	4	4	4	1 თსუ 3 OvGU
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	2 TSU
- ასისტენტ პროფესორი	2	2	2	2 თსუ 2 OvGU
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	1			
სამეცნიერო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები.
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში, დანართი 16_2: პროგრამის ხელმძღვანელის და დამხმარე პერსონალის ფუნქცია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიაკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესი
- თსუ-კვლევის პროდუქტიულობა
- კვლევის პროდუქტიულობის ნუსხა, ლექტორების მიხედვით

[9] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება , დოქტორანტურა	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

პერსონალური ფაილები (CV და რეზიუმეები) და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სია ადასტურებს, რომ სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო გამოცდილება კვლევის სფეროში. სამაგისტრო ნაშრომის თემა შეირჩევა მაგისტრატურის სტუდენტსა და მის ხელმძღვანელს შორის ურთიერთშეთანხმების შემდეგ. პერსონალი მაქსიმალურად უთავსებს კურსდამთავრებულებს საკუთარ გრაფიკს და სტუდენტებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს. ნაშრომები მოწმდება სპეციალური პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამით -*ტურნიტინი*. სტუდენტები იყენებენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და სხვა რესურსებს. საჭიროების შემთხვევაში, დისერტაციის ხელმძღვანელი სტუდენტებს ასევე მიაწვდის შესაბამის მასალას.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიკოსების გუნდს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციები: მათი CV-ები მოწმობს, რომ ისინი იზიარებენ მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოცდილებას, ისევე როგორც მრავალფეროვან გამოცდილებას განათლების მეცნიერებების სფეროში, მაგრამ ასევე მასთან დაკავშირებულ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება და, ასევე პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ინჟინერია. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული ზოგიერთი მასწავლებელი არის დოქტორანტი. ამ ექსპერტების მეშვეობით მყარდება კავშირი მაგისტრატურასა და სადოქტორო პროგრამას შორის. მათი CV მოწმობს კვალიფიკაციისა და ექსპერტიზის დიაპაზონს, რაც შეძენილია ფორმალური კვლევებისა და სპეციალური ტრენინგების შედეგად, მაგრამ ასევე ფართო სპექტრის სამუშაო გამოცდილების წყალობით კომპანიებში ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, მრავალფეროვან ადგილებში.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა			
	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის ხელმძღვანელები დარგობრივი მიმართულების სადოქტორო ხარისხით[11]	მათ შორის: აფილირებული აკადემიური პერსონალი;
მაგისტრანტების ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	5	5	5
- პროფესორი	3	3	3

[11] ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს, საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

- ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

როგორც აკადემიკოსების, ასევე ექსპერტების რეზიუმეები ცხადყოფს, რომ მაგისტრატურას აქვს ძლიერი საერთაშორისო მიმართულება. ძლიერი აკადემიური ბაზის არსებობის გარდა, აკადემიკოსებს და მოწვეულ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ ისეთი სწავლება, რომელიც იქნება პროექტზე ორიენტირებული, გამოცდილებაზე დაფუძნებული. ეს აძლიერებს პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას, კერძოდ მის უნარს, შესაძლებელი გახადოს საერთაშორისო დიალოგი აკადემიურ თეორიასა და პრაქტიკას შორის.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

პროფესიული განათლება, დოქტორანტურა			
	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის შესაბამის დარგში დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[12]	მათ შორის: აფილირებული აკადემიური პერსონალი
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	8	8	8
- პროფესორი	4	4	1 თსუ 3 OvGU
- ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი	4	4	2 თსუ 2 OvGU
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

სადოქტორო პროგრამაში ჩართულ აკადემიკოსთა რაოდენობა ნაკლებია სამაგისტრო პროგრამაში ჩართლთან შედარებით, ეს ლოგიკურიცაა სპეციალიზირებული პროგრამიდან გამომდინარე, სადაც წელიწადში 5 სტუდენტი ირიცხება. მათი რეზიუმეები და კვლევითი მიღწევები მოწმონს, რომ აქვთ მნიშვნელოვანი გამოცდილება საკუთარ დარგში. ქართველმა და გერმანელმა აკადემიკოსებმა გააერთიანეს საკუთარი ძალები, რომ შეექმნათ სტუდენტთა ხელმძღვანელობის ისეთი მოდელი, რომელიც ეყრდნობა მათ მიერ პროგრამისთვის განხორციელებულ ერთობლივ სწავლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, დანართი 16-2: გზამკვლევი ხელმძღვანელებისთვის
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან
- გამკვლევი ნაშრომებისთვის
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- პერსონალის პუბლიკაციების ნუსხა

[12] ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს, საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

- აკადემიური პერსონალის შეფასება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:
რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია .	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ რეგულარულად ატარებს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

თსუ-მ განახორციელა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება; ეს შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი ხდება რეგულარულად. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად აანალიზებს და აფასებს სამეცნიერო პროდუქტიულობას, რაც დეტალურად არის მოხსენებული სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წლიურ ანგარიშებში. ამგვარად, ფაკულტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი აქტივობების განხორციელებაზე. ამ მიზნით აწყობს მათთვის ტრენინგს, მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით; მუდმივად აახლებს ბიბლიოთეკის წიგნების მარაგს პროგრამებთან დაკავშირებული უახლესი ლიტერატურით; ატარებს ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციებს; აგზავნის აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო კონფერენციებზე, კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე; აწვდის ზეპირ და/ან წერილობით ანგარიშებს.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს კვლევებს, აინიცირებს ერთობლივ კვლევით პროექტებს პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან და ხელს უწყობს რაც შეიძლება მეტი აკადემიური პერსონალის ჩართულობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსნონალისთვის ტარდება ინფორმაციული შეხვედრები და ტრენინგები, რაც მიზნად ისახავს, დეტალური ინფორმაციის მიწოდებას კვლევისთვის დაფინანსების მოპოვების ფორმალურ პროცედურებსა და კვლევის შედეგების გავრცელებაზე. უნივერსიტეტი ასევე ატარებს გამოკითხვევს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რათა მოახდინოს რეაგირება იმაზე, თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება შემდგომი განვითარებისთვის.

პროფესიონალიზმის ასამაღლებლად, აკადემიური პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროექტებში მსოფლიოს ტოპ რეიტინგულ უნივერსიტეტებთან. პროფესიული უნარების ამაღლების პარალელურად ატარებენ საჯარო ლექციებს და ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. დაგეგმილია რამდენიმე აქტივობა არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და პროგრამის განმახორციელებელთა კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.

„პროფესიული განათლების“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი უნივერსიტეტები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგდებურგის უნივერსიტეტი) აქტიურად ზრუნავენ კადრების განვითარებაზე. ეს ნათელი იყო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაცნობითი შეხვედრისას. თსუ თითქმის ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს. გარდა ამისა, თსუ ორგანიზებას უწევს შეხვედრებს სხვადასხვა დარგის წამყვან მეცნიერებთან, გამოცდილების გაზიარებისა და შესაბამისად კვლევის შინაარსის გაუმჯობესების

მიზნით.

სკოლის აკადემიური პერსონალი რეგულარულად იღებს მონაწილეობას Erasmus+ მობილობის პროგრამებში. თსუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხორციელებას, უზრუნველყოფს პრაქტიკული კურსების/ტრენინგების დაფინანსებას, პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში, რაც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები
- აკადემიური პერსონალის შეფასება
- თსუ-ს ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წლიური სამეცნიერო ანგარიშები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პერსონალის პროფესიული განვითარება	თან	თან		
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

პროგრამას აქვს ბიბლიოთეკა, რომელსაც გააჩნია და ინარჩუნებს საკმარის და სათანადო ბეჭდურ და ელექტროკულ წიგნებს/ჟურნალებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის.

ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგები. პროგრამების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ან/და შესაბამისი რიდერები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თსუ ციფრულ ბიბლიოთეკაში (Ebooks.tsu.ge). თსუ-ს სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და პუბლიკაციები ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან და უნივერსიტეტის ქსელის გარეთ. ზემოაღნიშნული ელექტრონული რესურსები ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტში.

ბიბლიოთეკარმა გვაჩვენა, თუ როგორ უნდა მოიძიოს საჭირო სასწავლო მასალა.

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა რამდენიმე ავტორისა და სახელმძღვანელოს მოძებნა, რაც იდენტიფიცირებულ და წარმოდგენილ იქნა.

შენობის დათვალიერების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ხელმისაწვდომი იყო სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, პერსონალის ოთახები, კომპიუტერული რესურსცენტრები, ადმინისტრაციული სივრცეები, სივრცეები ჯგუფური მუშაობისთვის და სხვა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მდგრადობას.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მოიცავს მულტიმედია პროექტორებს, კომპიუტერებს, აუდიო-ვიდეო აღჭურვილობას და ა.შ. არსებობს თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და სასწავლო პროგრამის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა.

კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული ოთახები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი შიდა ელექტრონული პლატფორმა (lms.tsu.gr), რომლის მეშვეობითაც შეფასებები შედის ელექტრონულ ჟურნალში. მოსწავლეთა დასწრება, აქტივობები და ზეპირი შეფასება რეგისტრირებულია ამ მონაცემთა ბაზაში. უნივერსიტეტს აქვს სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ეცნობიან შეფასებებს, დასწრებას, აქტივობას, ზეპირი გამოცდებისა და ქუიზების შეფასებებს; მათ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ პროგრამას, სილაბუსებს, შექმნან ინდივიდუალური პროფილი. უფრო მეტიც, ასევე შესაძლებელია, ბიბლიოთეკის პირობებში, კურსის ხელმძღვანელის დავალებით, სრულად საავტორო უფლებებით დაცული ელექტრონული და ბეჭდური რიდერების მომზადება.

უნივერსიტეტის ვებგვერდი უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისა და პერსონალისთვის. ისინი ინფორმირებულნი არიან რესურსების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ და ეცნობიან მათი გამოყენების წესებს.

რომ შევაჯამოთ, ორივე პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა მათი სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშშიც ნათქვამია და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ შენობა, სადაც პროგრამა ხორციელდება, უზრუნველყოფს დამაკმაყოფილებელ სივრცეებს მუშაობისა და ინდივიდუალური თუ ჯგუფური სამუშაოების განხორციელებისთვის. სივრცეები ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტთა და პერსონალის კონსულტაციებისთვის. ბიბლიოთეკა კარგად აღჭურვილი და დაფინანსებულია.

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის საჭირო აღჭურვილობა არ საჭიროებს რომ იყოს ზედმეტად სპეციალიზირებული: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში ვიზიტმა გვიჩვენა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ფართო სივრცეს სწავლისა და კვლევისთვის, ასევე სტუდენტების, როგორც მკვლევარების, სპეციფიური სტატუსის აღიარებას. გასაუბრებისას, სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გაამარტივეს ყველა საჭირო მასალის შესწავლა და წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები
- საბიბლიოთეკო რესურსები, კატალოგი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- უნივერსიტეტში ვიზიტი
- სტუდენტებთან გასაუბრება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ფაკულტეტმა ორივე პროგრამისთვის მკაფიო ბიუჯეტი დაადგინა და ისინი შეესაბამება უნივერსიტეტის რეკომენდაციებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ორივე პროგრამისთვის უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის სტრატეგიული ჩართულობა მისი დაინტერესებული მხარეების მიმართ.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორ პროგრამას და მათ სტუდენტებს აქვთ წვდომა გარე დაფინანსებაზე სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების მეშვეობით (ევროპის კომისია, Erasmus+-ის მეშვეობით, მსოფლიო ბანკი, GIZ). ამგვარად, როგორც ირკვევა, ორივე პროგრამა სარგებლობს დაფინანსების შესაძლებლობებით, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა

აღწერა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ ტრენინგზე, კვლევასა და ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულ ყველა ხარჯს. ბიუჯეტში ფიქსირდება მეტობა.

პროპროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

აღწერა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს პროგრამის ბიუჯეტი. საბიუჯეტო დოკუმენტაცია იძლევა ინფორმაციას, რომ მთლიანი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების ანაზღაურებას, პროგრამების ფიზიკური და ტექნიკური ბაზის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას. მას ასევე შეუძლია მხარი დაუჭიროს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო შესაძლებლობების განვითარების აქტივობებში და სტუდენტების მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში. ფასიანი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, დროთა განმავლობაში, შექმნას ეროვნული და საერთაშორისო ინტერესი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ბიუჯეტი უზრუნველყოფს მზაობას მუდმივი განახლებისთვის და მოიცავს ხარჯებს ლიტერატურის გაუმჯობესებისა და მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობისთვის. საერთაშორისო პარტნიორებთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ GIZ-ის მეშვეობით საერთაშორისო დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება VoCasian პროექტის დაფინანსების დასრულების შემდეგაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი; თვითშეფასების ანგარიში, დანართი 10, ქართულად
- უნივერსიტეტის გზამკვლევი ბიუჯეტის შემუშავებისთვის: პროგრამის დაგეგმვა დანართი 6
- სადოქტორო მხარდაჭერის დადასტურება, პროფესორი ბუნინგი, OvGU
- მაგდებურგის უნივერსიტეტის მხარდაჭერის დასტური
- GIZ-ს მხარდაჭრის დასტური
- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები პროგრამების ხელმძღვანელთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტ ის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა.“	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება / ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება/ტრენინგე ბი და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო	X	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებია საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის გაძლიერება. ამაზე ფოკუსირებით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა მთელი რიგი რეგულაციები და ჩარჩოები, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებასთან, ასევე, შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცედურა და უნივერსიტეტის რეიტინგის და რანჟირების გაზომვის მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება; (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამაში ცვლილებების შეტანა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი ჩართულია სასწავლო პროცესის უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით, სესიებზე სისტემატური დაკვირვებით და კოლეგების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებით. კოლეგების მიერ შეფასების სისტემა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელ შეფასებას და მოქმედებს როგორც აკრედიტაციის პროცესის ერთგვარი სიმულაცია. პროცესები არის გამჭვირვალე, კოლეგიალური და ფაკულტეტების მიერ მხარდაჭერილი. შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში.

გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება; სწავლის შედეგები; მართვის პროცესების შეფასება; ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებები; აკადემიური პერსონალის შეფასება და ა.შ. მიღებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების შერჩევა.

ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულ კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებზე.

ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის,

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ადაპტირებისა და მათი სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შემდეგი დოკუმენტები: ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო, Moodle-ის პლატფორმაზე საშინაო დავალების და ქუიზების შექმნის სახელმძღვანელო და გაკვეთილები Breakout Rooms-ისა და გამოკითხვის Poll in the Zoom პლატფორმების გამოყენებაზე. ასევე, მოეწყო საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგი.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან ბოლომდე არ იყო ნათელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხარისხი პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში. ერთის მხრივ, თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია პროცედურების ძალიან ზოგადი აღწერა და რთულია პროცესის მონაწილეთა გამოვლენა. მეორე მხრივ, აკადემიური/მოწვეული პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა გასაუბრებისას წარმოადგენდა პროგრამების არჩევითი კურსების ლექტორებს, რომლებიც თავის მხრივ უშუალოდ არ მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ლექტორებმა ვერ შეძლეს კურსის სწავლის შედეგების დაკავშირება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ლექტორებმა არ იცოდნენ კურსის სამიზნე ნიშნულები, რომლებიც განსაზღვრულია მათ მოდულებში.

დამსაქმებლების ჩართულობა სრულად დადასტურდა გასაუბრების დროს და მათი წვლილი ღირებული აქტივია პროგრამების განვითარებაში. აშკარა იყო ადმინისტრაციული პერსონალის წვლილი და ჩართულობა ამ პროცესში.

უნივერსიტეტში პროგრამების განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და ტრენინგი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ძალიან კარგად არის დამკვიდრებული უნივერსიტეტში და ზოგიერთი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად, თუმცა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხარისხი შეიძლება გაუმჯობესდეს, პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კოლეგების მიერ
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება
- დანართი 4 - რუქები;
- დანართი 13- ხარისხის უზრუნველყოფა
- დანართი 3- პროგრამის დაგეგმვის მეთოდოლოგია

- დანართი 14– გამოკითხვა;
- დანართი 16 - სხვა;
- დანართი 8- შრომის ბაზრის კვლევა;
- დანართი 6 - პროგრამის დაგეგმვა, ჩამოყალიბება;
- დანართი 16 - 2- მხარდამჭერი პერსონალის ფუნქციები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები, 2021
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობის დონე.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება/ტრენინგებ და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	☐	X	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, პროგრამული აკრედიტაციისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ავტორიზაციის/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასების გარდა, პროგრამის შესაფასებლად, უნივერსიტეტი თანამშრომლობს დარგის ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან. ხარისხის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი რეგისტრირებულია EQAR-ზე, რაც ნიშნავს, რომ მისი პროცედურები შეესაბამისობაშია ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და გაიდლაინებთან.

თსუ მონაწილეა პროექტში „კერძო სექტორის განვითარება, ტექნიკური პროფესიული განათლება და სწავლება სამხრეთ კავკასიაში“, რომელიც თანადაფინანსებულია GIZ-ის მიერ; ორივე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესს მხარს უჭერენ ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლები, მათ შორის მაგდებურგის უნივერსიტეტი, გერმანია. ეს უკანასკნელი არის პროგრამების გაძლიერების მხრივ მთავარი კონტრიბუტორი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის კუთხით, როგორებიც არიან აკადემიკოსები და ორივე პროგრამისთვის მოწვეული პერსონალი. ასევე ეს უნივერსიტეტი არ ივიწყებს ფინანსურ მხარდაჭერასაც. ანალოგიურად, პროგრამების შინაარსი და სილაბუსები შემუშავებულია ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები მოიცავს პროგრამის განმავითარებელ შეფასებას, პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მინიჭებული კვალიფიკაციები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის გარე შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები, 2021
- ინტერვიუს შედეგები

- EQAR-ზე აკრედიტებული სააგენტოების ნუსხა

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება/ტრენინგე ბი და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და წესები მოცემულია დებულებაში; კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, განისაზღვრება პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, ცვლილებისა და პერიოდული შეფასების პროცედურები.

თითოეული პროგრამისთვის იქმნება პროგრამის განვითარების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია შედეგების მიღწევის შეფასებასა და ანალიზზე. შესაბამისად, პროგრამის შედეგების შეფასება პერიოდულად ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.

შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდები გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას.

შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის პასუხების შესწავლას: ა) სტუდენტები; ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი; გ) დამსაქმებლები; დ) პროგრამის კურსდამთავრებულები. დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი ინსტრუმენტები:
- კითხვარები: ა) სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების ან/და პროცესის შეფასება სწავლის პროცესის მართვის (LMS) ელექტრონულ ბაზაში; ბ) სტუდენტთა კმაყოფილების შეფასება LMS-ის ელექტრონულ ბაზაში;
- ფოკუს ჯგუფები: სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების განხილვაში მონაწილეობა;
- შიდა დისკუსიები: ა) შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და ა.შ.; ბ) დაგეგმვის მხარდამჭრი (სასწავლო გეგმის) კომიტეტის მუშაობაში ჩართვა; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის გაიდლაინები და რეკომენდაციები, განსაკუთრებით თვითშეფასების ანგარიში, დანართი 3;
- პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება: კერძოდ, დანართები 9-14.
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და პერსონალთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა,
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროფესიული განათლება (VET), სადოქტორო პროგრამა
რეკომენდაცები:

რჩევები:

შეფასება

კომპონენტი 5.3 . პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება/ტრენინგე ბი და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი:	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროფესიული განათლება/ტრენინგე ბი და ადამიანური რესურსების განვითარება მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროფესიული განათლება სადოქტორო	X	☐	☐	☐

დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა
პროფესიული განათლება, დოქტორანტურა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

სარჩევი	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა**	**4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა**	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი**
პროფესიული განათლება / ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება, მაგისტრატურა	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან
პროფესიული განათლება, დოქტორანტურა	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სტეფანი ლაუიკი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მარიამ ალექსიძე



თამთა ლეკიშვილი

სოფიო ბაზაძე

ეკატერინე ფიფია